პროექტი
სასწავლო ლაბორატორიები თანაბარი უფლებებისთვის (CIF -2023-04)

რას წარმოადგენს ჩვენი პროექტი

პროექტის „სასწავლო ლაბორატორიები თანაბარი უფლებებისათვის“ (CIF-2023-04) ფარგლებში შეიქმნა ***ნატიფი ხელოვნების ლაბორატორია***, რომელიც განთავსდა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში „ფაბლაბი ილიაუნი“. ლაბორატორია სტუდენტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, ინოვაციური იდეები რეალობად აქციოს კვალიფიციური პერსონალისა და თანამედროვე დანადგარების დახმარებით.

ლაბორატორიის მიზანი

ლაბორატორიის პრიორიტეტია განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან ერთად ნატიფი ხელოვნების ნიმუშების შექმნა.

რას ვაკეთებთ

პროექტის უნიკალური და ინოვაციური მოდელის შესაბამისად ერთ გუნდად შევიკრიბეთ ცოდნის მაძიებლები (სტუდენტები), ცოდნის გამცემები (მასწავლებლები), მხარდამჭერები და მათ მიერ დასაქმებულები; ჩვენ გაგვაერთიანა საერთო მიზანმა, ერთად გვემუშავა და ხალისითა და შემოქმედებითი თავისუფლებით შეგვექმნა ხელოვნების ნიმუშები.

რას გავაკეთებთ

გვსურს ახალ სივრცეში კიდევ უფრო დავხვეწოთ ჩვენი უნარები და თიხისა და ხისგან დავამზადოთ ნაკეთობები, რომლებიც ინდივიდის გემოვნების გათვალისწინებით შეიქმნება.

პოტენციური მომხმარებლების ინტერესის გასაგებად ვგეგმავთ კვლევის ჩატარებას.



მისამართი:

გ. წერეთლის ქ. N3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, S 101 აუდიტორია

https://learninglabs.iliauni.edu.ge/

learninglabs@iliauni.edu.ge

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

WORLD BANK GROUP